

ცნობა

” სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ საკრებულოში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება “ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ “- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა 2017 წლის 29 მარტი.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ “; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2017 წლის 29 მარტამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. N1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული. (პასუხისმგებელი პირი ნანა თავდუმაძე, ტელ.: 599 98 39 00. ozurgeti.mun.gov.gev).